საზაფხულო სკოლა

„კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში ტენდენციები, გამოწვევები, პოლიტიკური კვლევის პრაქტიკა“

თბილისი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

6-14 ივნისი 2019

შესავალი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ა.წ. 6-14 ივნისს სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობდა საზაფხულო სკოლა „სოციალურ მეცნიერებებში ტენდენციები, გამოწვევები, პოლიტიკური კვლევის პრაქტიკა“. სკოლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ სოციალური მეცნიერებების (სოციოლოგია, ფსიქოლოგია პოლიტოლოგია, მარკეტინგი) სხვადასხვა მიმართულებების 18 მაგისტრატურის სტუდენტი და ახალგაზრდა პროფესიონალი.

სკოლის თემატიკას წარმოადგენდა კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში ტენდენციები, სიახლეები, გამოწვევები, პოლიტიკური კვლევა როგორც მიმართულება საქართველოსა და მსოფლიოში. სკოლა ითვალისწინებდა, როგორც თეორიულ მეცადინეობას, ისე კვლევის პრაქტიკულ სიმულაციას.

სკოლის მიზნები იყო:

- შეგვეთავაზებინა მონაწილეებისათვის წლების განმავლობაში პოლიტიკური კვლევების სფეროში დაგროვილ მასალაზე დაფუძნებული ანალიზი;
- გაგვეზარდა მათში პოლიტიკური კვლევის საკითხების მიმართ დაინტერესება;
- კონკრეტული ქეისების/შემთხვევების მაგალითებზე გვეჩვენებინა პრაქტიკულ ჭრილში პოლიტიკური კვლევის საჭიროებები, პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები.

სკოლის ფარგლებში ლექციები და სემინარები ჩაატარეს ბრემენის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორმა იოჰან ტოლენმა, მსოფლიოს წამყვანი კვლევითი კომპანია იაპსოს აშშ-ს ოფისის ვიცე-პრეზიდენტმა ვადიმ ვოლოსმა, ილიას უნივერსიტეტის პროფესორებმა და კვლევითი კომპანიის წარმომადგენლებმა.

სწავლება გრძელდებოდა 8 დღე და მოიცავდა 3 თემატურ კატეგორიას:

- კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, სიახლეები გამოწვევები (2 დღე)
- პოლიტიკური კვლევა – დარგში უახლესი ტენდენციების განხილვა და არსებული მონაცემთა ბაზის ანალიზი და პრეზენტაცია 2 დღე)
- პრაქტიკული სამუშაოები –
    - სამუშაო ჯგუფების შექმნა შერჩეული მეთოდოლოგიით კონკრეტული კვლევის პროგრამის, ინსტრუმენტის (კითხვარის) შემუშავება (1 დღე)
    - სამუშაო ჯგუფების მიერ საველე სამუშაოების ჩატარება (1 დღე)
    - მონაცემთა გენერირება და ანალიზი – მონაცემთა კოდირება და მონაცემთა ბაზაში შეყვანა, წმენდა, დამუშავება და ანალიზი (1 დღე)
    - მონაწილეთა ჯგუფური პროექტების პრეზენტაცია, საუკეთესო პროექტის გამოვლენა/დაჯილდოვება, საზაფხულო სკოლის მუშაობის შეჯამება (1 დღე).

პროგრამის ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. წინამდებარე ბროშურა მოიცავს სკოლის სასწავლო და სიმულაციური კვლევის მასალებს.

პროგრამა

დღე №1– 7 ივნისი (პარასკევი)

10.00– 12.00 ლევან თარხნიშვილი E 102 აუდიტორია

მსმენელებს გააცნობს საზაფხულო სკოლის მიზნებსა და ამოცანებს, ზოგადად მიმოიხილავს ემპირიული კვლევის მნიშვნელობას სოციალური მეცნიერებების განვითარებისათვის

12.00– 12.30 – ყავის შესვენება

12.30 – 14.30 – ნინო დურგლიშვილი E 102 აუდიტორია

ეთმობა თვისებრივი კვლევის მონაცემთა ფორმატირებას და გადამუშავებას NVivo 10 – ის პროგრამაში; ასევე, მონაცემთა ეფექტური დამუშავების სხვადსხვა ტექნიკებს; თვისებრივი კვლევის მონაცემთა კოდირების მეთოდს, ზოგად კონცეფციას და კონკრეტულ ტექნიკებს; მონაცემთა ანალიზისა და ინტერპრეტაციის ტექნიკებს; გაანალიზებული თვისებრივი მონაცემების ეფექტური პრეზენტაციის მეთოდებს, გრაფიკულ ხერხებს და სხვ.

მოდული აერთიანეს შემდეგ თემებს:

1. მონაცემთა ფორმატირება და გადატანა Nvivo-ში, მონაცემთა ეფექტური მენეჯმენტი;
2. თვისებრივი მონაცემების კოდირების მეთოდები, კონცეპტები და ტექნიკები;
3. მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია;

14.30–15.00 – ლანჩი

15.00– 17.00 ვადიმ ვოლოსი E 102 აუდიტორია

საზოგადოების აზრის კვლევა „ციფრულ სამყაროში“, კურსის ფოკუსირება მოხდება სოციალური კვლევის დაგეგმვის სირთულეებსა და გამოწვევებზე შერჩევის ეტაპზე ციფრულ და ტრადიციული ფორმატში. რა მოთხოვნები არსებობს ციფრული ფორმატის შემთხვევაში კვლევის ინსტრუმენტის მიმართ, რესპონდენტთან თანამშრომლობის თავისებურებები, შეცდომები და გამოსწორების გზები, მონაცემთა ინტეგრაცია და ანალიზი.

დღე №2– 8 ივნისი (შაბათი)

10.00– 11.30 ლევან თარხნიშვილი E 102 აუდიტორია

დოკუმენტებისა და მას -კომუნიკაციის ანალიზის მეთოდები

11.30– 12.00 – ყავის შესვენება

12.00 – 14.00 – იოჰან თოლენი E 102 აუდიტორია

მეტა – ეთნოგრაფიული მეთოდი, როგორც მონაცემთა ანალიზის მეთოდი ტრანს-ნაციონალურ კლევით პროექტებში. მეტა-ეთნოგრაფიული მეთოდი ემსახურება თვისებრივი ემპირიული მონაცემების/მასალის სინთეზზსა და აგრეგირებას. სესიაზე მოხდება ტრანსეროვნული კვლევებისათვის მეტა – კოდების შექმნის პროცესის აღწერა, მონაცემთა ერთიან სისტემაში გადაყვანას შემდგომი დამუშავების და ანალიზის მიზნით. განხილულ იქნება ანალიზის გამოყენების მრავალი პრაქტიკული ქეისი, მაგალიად 2 ფართომასშტაბიანი ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარებული პროექტი რომელშიც გამოყენებულ იქნა აღნიშნული მეთოდოლოგია – „MYPLACE“ (ევროკავშირის პროგრამის საგრანტო შეთანხმება №. 266831), და „SAHWA“ (ევროკავშირის პროგრამის საგრანტო შეთანხმება №. 613174

14.30–15.00 – ლანჩი

15.00– 17.00 ანა თარხნიშვილი C314 აუდიტორია

თვისებრივი კვლევის მონაცემთა ფორმატირება და გადამუშავება

დღე №3–9 ივნისი (კვირა)

9.30– 11.30 ვადიმ ვოლოსი E 102 აუდიტორია

გაგრძელება – საზოგადოების აზრის კვლევა „ციფრულ სამყაროში“

11.30 – 12.00 – ყავის შესვენება

12.00– 14.00 – იოჰან თოლენი E 102 აუდიტორია

გაგრძელება – მეტა -ეთნოგრაფიული მეთოდი

14.00–14.30 – ლანჩი

14.30– 16.30 ემზარ ჯგერენაია E 209 აუდიტორია

პოლიტიკური დისკურს ანალიზი, როგორც პოლიტიკური

პროცესების და პოლიტიკოსების საქმიანობის ანალიზის მეთოდი. სესიაზე მსმენელებს განემარტებათ მეთოდი და მეთოდის როლი და მნიშვნელობა მასშტაბური პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ენობრივი/ლინგვისტური გამოვლინებების ანალიზისათვის. როგორც მაგალითი განხილულ იქნება ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკურ მოღვაწეობის დისკურს ანალიზს ასევე სიტყვა „სამშობლოს" საკრალური კონცეპტის დაპირისპირებას „სახელმწიფოს" პროფანულ გაგებასთან და ამ დაპისრიპირების შედეგების ანალიზს.

დღე №4– 10 ივნისი (ორშაბათი)

10.00– 12.00 დავით სიჭინავა E 102 აუდიტორია

კვლევითი კომანია CRRC-წარმომაგენელი, რომელიც განიხილავს ბოლო 10 წლის განმავლობაში პოლიტიკური კვლევის მონაცემებს, კონკრეტული პროექტებს როგორც ქეისებს, პოლიტიკური კვლევების სირთულეები გამოწვევები უარების მაღალი ხარისხით და მასთან ბრძოლის მეთოდები. უარების გადანაწილების ძირითადი მეთოდოლოგიური ხერხები – ნედლი მასალის წარმოდგენა და მისი პროპორციულად გადანაწილება; წარსულის გამოცდილების გააზრება (წინასაარჩევნო კვლევების და არჩევნების რეალური შედეგების ანალიზი) და უარების გადანაწილების პრაქტიკული ტენდენციის დადგენა; დამატებითი კითხვების საშულებით პოლიტიკური პარტიების ამომრჩევლის პორტრეტის შედგენა და მისი გზით უარების გადანაწილება. პრაქტიკული მაგალითები თვითოეული მეთოდის.

12.00– 12.30 – ყავის შესვენება

12.30 – 14.30 – ანა თარხნიშვილი E 102 აუდიტორია

წინასაარჩევნო კვლევების პრაქტიკული გამოცდილება

14.30–15.00 – ლანჩი

15.00– 17.00 ივანე კეჭაყმაძე E 102 აუდიტორია

რაოდეობრივი კვლევის დამუშევებისა და ანალიზის სტატისტიკური მეთოდების მიმოხილვა წინასაარჩევნო კვლევა, ეგზითპოლი – პოლიტიკური კვლევის მასალების დამუშავება ანალიზი და პროგნოზი. ნაკლული მონაცემის პრობლემა პოლიტიკურ კვლევაში და პრობლემის გადაჭრის მეთოდები.

დღე №5– 11 ივნისი (სამშაბათი) E 102 აუდიტორია

კითხვარის შემუშავება, შერჩევა

10.00– 12.00 ანა ჟვანია, მამუკა ნადარეიშვილი, ანა თარხნიშვილი რუსუდან ველიძე

12.00– 12.30 – ყავის შესვენება

12.30 – 14.30 – ანა ჟვანია, მამუკა ნადარეიშვილი, ანა თარხნიშვილი რუსუდან ველიძე

14.30–15.00 – ლანჩი

15.00– 17.00 ანა ჟვანია, მამუკა ნადარეიშვილი, ანა თარხნიშვილი რუსუდან ველიძე

დღე №6 – 12 ივნისი (ოთხშაბათი)

საველე სამუშაოები

დღე №7– 13 ივნისი (ხუთშაბათი) E 102 აუდიტორია

მონაცემთა დამუშავება

10.00– 12.00 ანა ჟვანია, მამუკა ნადარეიშვილი, ანა თარხნიშვილი ივანე კეჭაყმაძე, რუსუდან ველიძე

12.00– 12.30 – ყავის შესვენება

12.30 – 14.30 – ანა ჟვანია, მამუკა ნადარეიშვილი, ანა თარხნიშვილი ივანე კეჭაყმაძე, რუსუდან ველიძე

14.30–15.00 – ლანჩი

15.00– 17.00 ანა ჟვანია, მამუკა ნადარეიშვილი, ანა თარხნიშვილი ივანე კეჭაყმაძე

დღე №8– 14 ივნისი (პარასკევი) E 102 აუდიტორია

პრეზენტაციები დაჯილდოვება

ჯგუფური პრეზენტაციები

12.00– 12.30 – ყავის შესვენება

პროექტის შეჯამება

14.00–15.00 – ლანჩი

ლექტორები

იოჰან თოლენი – ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, ბრემენის უნივერსიტეტში „დასაქმებისა და ეკონომიკის მთავარი მკვლევარი, საერთაშორისო სოციოლოგთა ასოციაციის „ეკონომიკა და საზოგადოება“ ვიცეპრეზიდენტი“, „ეკონომიკა და ფინანსების“განყოფილების უფროსი ბრემენის უნივერსიტეტში, ევროკავშირის „გემთმშენებლობის“ სოციალური დიალოგის პროექტის კონსულტანტი. აქვს ქართველ მეცნიერებთან მუშაობის 22 წლიანი გამოცდილება რომლის მაგალითებია:

- ახალგაზრდა მეწარმეების კვლევა სომხეთში, საქართველოში და აზერბაიჯანში (EU-TACIS-ACE, 1996 _ 1999) ახალგაზრდები რუსეთში (EU-INTAS 1999-2001) უკრაინაში და (EU-INTAS, 2001-2004)
- ახალგაზრდათა ტრანზიტულობა ოჯახისა და შინამეურნეობის კონტექსტში (EU-Intas, 2006 _ 2008).

ვადიმ ვოლოსი – უფროსი ვიცე პრეზიდენტი IPSOS სოციალურ და სტრატეგიული კვლევების მიმართულებით (ნიუ იორკი). ვადიმ ვოლოსს აქვს კვლევითი გამოცდილება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში მუშაობის, მუშაობდა კვლევების მენეჯერის პოზიციაზე ლათინური ამერიკის, აფრიკის და აზიის ქვეყნებში.

ის ხელმძღვანელობდა სხვადასხვა კვლევით პროგრამებს პოსტ სოციალისტურ ქვეყნებში როგორიცაა: უკრაინა, ბალტიის ქვეყნები, ყაზახეთი, პოლონეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, და რუსეთი.

ხელმძღვანელობს ბრედის ინდექსის კვლევას (Anholt-GfK Nation Brands Index), რომელიც ემსახურება მთავრობის საქმიანობისა და საინვესტიციო გარემოს შეფასებას 50 ქვეყანაში. მისი კლიენტების სიაშია: AT&T, AARP, Fujitsu, Eli Lilly, GSK, Occidental Petroleum, Microsoft, Price Waterhouse Coopers, Procter & Gamble, Walgreens, Siemens, the US Department of State, United Nations, USDA, American Institute for Economic Research, Insurance Institute of America, Griffith Foundation, and AIDS2031.

მისი გამოცდილებისათვის კვლევის ერთ ერთი წამყვანი მიმართულებაა მედია კვლევები. მრავალ ქვეყანასთან ერთად უმუშავია საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან და რუსთავი 2 თან როგორც კონსულტანტს. მას აქვს მინიჭებული ნიუ იორკის უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხი. ბოლო წლების განმავლობაში მან გააკეთა პრეზენტაცია სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებულ კონფერენციებში.

ემზარ ჯგერენაია – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მამუკა ნადარეიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის პროფესორი.

ლევან თარხნიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნინო დურგლიშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ანა ჟვანია – ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ლექტორი.

დავით სიჭინავა – კავკასიური კვლევების რესურს ცენტრის (CRRC) მკვლევარი.

ივანე კეჭაყმაძე – ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ლექტორი.

ანი თარხნიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ლექტორი, კომპანია BCG-Research დირექტორი

რუსუდან ველიძე – კომპანია BCG-Research ველის კოორდინატორი.



შესავალი ლექცია – ლევან თარხნიშვილი

სოციალური და ყველა სხვა მეცნიერების საბოლოო მიზანია ჩამოაყალიბოს დადასტურებული ცოდნა. ასეთი ცოდნა საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ფაქტები, შევიმუშაოთ პროგნოზები და გავიგოთ ემპირიული ფენომენები, რომლებიც ჩვენი ინტერესის საგანია.

სოციალური და ყველა სხვა მეცნიერების საბოლოო მიზანია ჩამოაყალიბოს დადასტურებული ცოდნა. ასეთი ცოდნა საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ფაქტები, შევიმუშაოთ პროგნოზები და გავიგოთ ემპირიული ფენომენები, რომლებიც ჩვენი ინტერესის საგანია.

მეცნიერების სამი კომპონენტისგან შედგება:

- ახსნა
- პროგნოზი
- გაგება

ფენომენის მეცნიერული ახსნის ტიპები –

დედუქციური ახსნა

დედუქციურ ახსნაში კერძო ფენომენი ახსნილია იმის ჩვენებით, რომ იგი შეიძლება გამოვიყვანოთ დადგენილი ზოგადი კანონებიდან.

დედუქციური ახსნა მოითხოვს (ა) უნივერსალურ განზოგადებას, (ბ) ისეთ პირობებს, რომლის ფარგლებშიც განზოგადება ჭეშმარიტია, (გ) მოვლენის ახსნასა და (დ) ფორმალური ლოგიკის წესების დაცვას.

ალბათური ახსნა

ყველა მეცნიერული ახსნა უნივერსალურ კანონებს არ ემყარება. ეს განსაკუთრებით სოციალურ მეცნიერებებს ეხება, რომელთა ფარგლებში უნივერსალურ განზოგადებებს ძნელად თუ შეხვდებით.

სოციალური მეცნიერებები იყენებენ ალბათურ, ანუ ინდუქციურ ახსნას. მაგალითად, პოლიტოლოგებმა შეიძლება მთავრობის მიერ გაწეული ხარჯების ზრდა შეერთებულ შტატებში ახსნან არახელსაყრელი ეკონომიკური პირობებთ, ვინაიდან წარსულში იყო შემთხვევა, როცა ხარჯების ზრდა მოჰყვა მკაცრ ეკონომიკურ პირობებს.

პროგნოზი

დედუქციური და ალბათური ახსნები მეცნიერული ცოდნის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. პროგნოზი მეორე ასეთი კომპონენტია. შესაძლებლობა, გააკეთო სწორი პროგნოზი, მეცნიერების აღიარებულ თავისებურებად არის მიჩნეული.

მოლოდინი, რომ მეცნიერულ ცოდნას ზუსტ პროგნოზამდე მივყავართ, ემყარება შემდეგ არგუმენტს: თუ ცნობილია, რომ X იწვევს Y-ს და სახეზე გვაქვს X, მაშინ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ Y-ის გამოჩენა

გაგება

ტერმინი „გაგება“ ორი რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება:

- ვერსტეჰენი ანუ ემპათიური გაგების მიხედვით საბუნებისმეტყველო მეცნიერები უფრო სანდო და სტაბილური თემაა ვიდრე სოციალური და შესაბამისად სხვადასხვანაირი მეთოდოლოგიით უნდა შევისწავლოთ.
- პრედიქტული გაგების მიხედვით სოციალურ მეცნიერს შეუძლია მოგვცეს ობიექტური ცოდნა, როგორც სოციალური, ისე ბუნებრივი სამყაროს კვლევისას და შესაბამისად სოციალურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებს შეუძლიათ ერთი და იგივე მეთოდები გამოიყენონ.

მეთოდოლოგიის როლი

მეცნიერული მეთოდოლოგია არის ზუსტი წესებისა და პროცედურების სისტემა, რომელთაც კვლევა ემყარება. ამასთან, მათი გათვალისწინებით ფასდება მეცნიერული დამტკიცებები. ეს სისტემა არაა უცვლელი. პირიქით, წესები და პროცედურები მუდმივად გაუმჯობესებას საჭიროებს;

სოციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგია ნელა ვითარდებოდა. ევოლუციის პროცესში იდეების, ინფორმაციის, კრიტიკის უწყვეტი ურთიერთგაცვლა შესაძლებელს ხდიდა ზუსტად ჩამოყალიბებულიყო და მომხდარიყო წესებისა და პროცედურებისა ინსტიტუციონალიზაცია, განვითარებულიყო შესაბამისი მეთოდები და ტექნოლოგიები. წესებისა და პროცედურების ეს სისტემა მეცნიერული მეთოდოლოგიის ნორმატიული კომპონენტია.

სოციალური კვლევების გამოყენების სფეროები:

- პოლიტიკა;
- ქვეყნის მართვა;
- ბიზნესი;
- მენეჯმენტი;
- გამოყენებითი კვლევები:
  - არაფორმალური ურთიერთობები ფორმალურ ორგანიზაციებში;
  - კორუფციის გავრცელების ხელშემწყობი ფაქტორები;
  - სიღარიბის მიზეზები;
  - მომხმარებელთა მოთხოვნები და სურვილები.

პოლიტიკური კვლევების ისტორია საქართველოში:

- კვლევა გამოიყენებოდა როგორც სამუშაო პროცესის ასევე საინფორმაციო კამპანიის ნაწილი;
- ერთის მხრივ კვლევა ზომავდა მოსახლეობის განწყობებს, მეორეს მხრივ პოლიტიკური პარტიების მიერ გამოიყენებოდა როგორც კონკურენტებთან უპირატესობის დასტური, იარაღის ფუნქციას ასრულებდა საინფორმაციო ომში;
- კვლევის აქტიურმა მონაწილეობამ პოლიტიკურ პროცესებში კვლევის ხარისხისა და მეთოდების მიმართ შექმნა ხარისხის მიმართ მაღალი მოთხოვნა.
- ამიტომ სხვა კვლევით სფეროებს შორის შექმნა პირობა მეთოდოლოგიური მხარის განსაკუთრებული განვითარებისა და დახვეწისათვის.
- გამოიყენება, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები

საერთაშორისო სტანდარტის თანახმად ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებრივი აზრისა და საბაზრო კვლევის ევროპული კავშირის **(ESOMAR)** სტანდარტის თანახმად უნდა ეცნობოს საზოგადოებას ანგარიშის გამოქვეყნებისას:

- რომელმა ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა
- გამოკითხვის მეთოდიკა
- შერჩევითი ერთობლიობის რაოდენობა
- შერჩევის რეპრეზენტატიულობა
- გამოკითხვის ჩატარების თარიღები
- დასმული კითხვების ტიპი (ღია თუ დახურული) და მათი ზუსტი ფორმულირება;

საქართველოს მაგალითი

- რეგულაცია vs თვითრეგულაცია
- პოლიტიკური კვლევის სტანდარტები საქართველოში
  - ორგანიზაცია რომელმაც ჩაატარა კვლევა
  - კვლევის დამკვეთი და/ან დამფინანსებელი

- ბიუჯეტი
- კვლევის ინსტრუმენტი – კითხვარი
- შერჩევის მოცულობა და გეოგრაფიული გადანაწილება
- საველე სამუშაოების ჩატარების დრო
- საველე სამუშაოების გეოგრაფია
- გამოკითხული რესპონდენტების კლასიფიკაცია (ასაკი, სქესი, თუ არსებობობს რაიმე დამატებითი შეჟღუდვა მაგ. პროფესია, საქმიანობა და ა.შ.)
- სტანდარტული ცდომილება
- სანდოობის ხარისხი
- ინტერვიუს ჩატარების მეთოდი

საჯარო გამოსვლების დროს მსმენელს უნდა მიეწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

- შერჩევის მოცულობა და გეოგრაფიული გადანაწილება
- საველე სამუშაოების ჩატარების დრო
- საველე სამუშაოების გეოგრაფია
- კითხვისა და პასუხების ზუსტი ფორმულირება
- კონკრეტულად ამ კითხვას რამდენმა რესპონდენტმა უპასუხა
- ამ კითხვისთვის სანდოობის ხარისხი და ცდომილება
- ამ კითხვისთვის რესპონდენტების კატეგორია
- თუ ხდება მონაცემების გადაანგარიშება (მაგ. კატეგორიების „უარი პასუხზე“, „არ ვიცი“, „არ გადამიწყვეტია“ გადათვლა/გადანაწილება) უნდა ახსნილი იქნას თუ რა მეთოდით მოხდა ეს გადათვლა და როგორ შეიცვალა სანდოობა და ცდომილება
- ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული სად არის მოცემული სტატისტიკური მონაცემები და სად ანალიზი და ინტერპრეტაცია.





თვისებრივი მონაცემების ცნებაში მოიაზრება არარაოდენობრივი ხასიათის ტექსტური, ვიზუალური ან აკუსტიკური ინფორმაცია: ტრანსკრიპტები; საველე სამუშაობის ჩანაწერები; ვიდეო ან აუდიო ჩანაწერები და სხვა.

თვისებრივ მონაცემთა ანალიზის სახეების კლასიფიკაცია მრავალნაირადაა შესაძლებელი, მაგრამ, მათ უმრავლესობაში, როგორც წესი, განიხილება კონტენტ-ანალიზი, ნარატივის ანალიზი და დისკურსის ანალიზი.

თვისებრივ მონაცემთა ანალიზი მრავალკომპონენტიან სისტემურ პროცესს წარმოადგენს. მისი ძირითადი ეტაპებია:

მონაცემთა ორგანიზება

ძირითადი კონცეპტების/ცნებებისა და იდეების გამოვლენა და ორგანიზება;

ზოგადი თემების კონსტრუირება;

მონაცემთა ანალიზისა და შედეგების/მიგნებების სანდოობისა და ვალიდობის უზრუნველყოფა;

შედეგების/მიგნებების ინტერპრეტაცია/ახსნა;

ანგარიშის შედგენა.

კოდების სისტემის შემუშავება და გამოყენება: კოდირება – თვისებრივი ინფორმაციიდან/მონაცემებიდან მნიშვნელოვანი ელემენტების გამოყოფა -თვისებრივ მონაცემთა ანალიზის საფუძველს წარმოადგენს.

კოდებში აისახება ისეთ ფენომენთა ფართო სპექტრი, რომლებიც რაოდენობრივ შეფასებას/გააზრებას არ ექვემდებარება (რაოდენობრივი მახასიათებელი არ გააჩნია): ქცევა, მოქმედება, შეფასება და ა. შ. კოდი შეიძლება იყოს გარკვეული იდეის ან თემის გამომხატველი სიტყვა, ფრაზა და ა. შ. როგორც წესი, ყოველ კოდს ენიჭება რელევანტური სახელწოდება.

კოდირების ძირითად ტიპებად შეიძლება განვიხილოთ:

ღია კოდირება – გადაუმუშავებელი მონაცემების პირველადი ორგანიზება;

ღერძული/სისტემური კოდირება – კოდების კატეგორიათა შეერთება და ურთიერთდაკავშირება;

შერჩევითი კოდირება – კატეგორიათა შეერთების საფუძველზე ერთიანი თემის/სიუჟეტის ფორმულირება.

კოდირება შესაძლებელია განვახორციელოთ „ხელით“ ან გამოვიყენოთ რომელიმე შესაბამისი კომპიტერული პროგრამა, მაგალითად, NVivo, Atlas ti 6.0, HyperRESEARCH 2.8, Max QDA და სხვა.

„ხელით“ კოდირება შრომატევადი, ხანგრძლივი პროცესია და, თანამედროვე ტექნოლოგიების ფონზე, მკვლევართა დიდი ნაწილი მას მოძველებულად მიიჩნევს.

თვისებრივ მონაცემთა ანალიზის ტექნოლოგიურ საშუალებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კომპიუტერულ პროგრამას Nvivo წარმოადგენს. იგი ინტენსიურად გამოიყენება თვისებრივ და შერეულ კვლევებში.

Nvivo საშუალებას გვაძლევს:

მოვახდინოთ მონაცემთა ერთიანი პლატფორმის ორგანიზება, რომელშიც თავს მოიყრის ყველა მონაცემი – მეტრული დემოგრაფიული ინფორმაციიდან დაწყებული, ღია კითხვებისა და ინტერვიუს შედეგად მიღებული თვისებრივი ინფორმაციის ჩათვლით:



განვახორციელოთ მონაცემთა კატეგორიზაცია და ანალიზი. Nvivo-ს გამოყენების შემთხვევაში, სულ რამდენიმე წამია საჭირო იმისათვის, რომ მოხდეს მრავალფეროვანი თვისებრივი ინფორმაციის (დამოკიდებულებები, შეხედულე-

ბები, განცდები, ატრიბუტები, თემები და სხვა) კატეგორიზება-კლასიფიკაცია და გადამისამართება SPSS-ში, სადაც ის შემდგომ სტატისტიკურ ანალიზს დაექვემდებარება:

განხორციელდეს მასალის ვიზუალიზება სხვადასხვა ეტაპზე, რაც ხელს უწყობს მიგნებების/დასკვნების სტიმულირებას და უზრუნველყოფს მიღებული შედეგების ეფექტურ პრეზენტაციას. კროსტაბულაციის ცხრილები და ვიზულიზებული შედეგები აადვილებს ინფორმაციის აღქმასა და გააზრებას, ხელს უწყობს ახალი იდეების, ახსნების, ჰიპოთეზების გენერირებას:





თვისებრივ მონაცემთა ანალიზი – მომავლის პერსპექტივა

ერთი მხრივ, ინფორმაციის მზარდი და უწყვეტად ცვალებადი/განახლებადი ნაკადი, მეორე მხრივ კი, ინოვაციური ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება უფროდაუფრო აქტუალურს ხდის მონაცემთა დიდი მასივების – დიდ მონაცემთა/Big Data – თემას. არსებობს პროგნოზები, რომ ტექსტურ მონაცემთა ნაკადების ონტოლოგიაზე დაფუძნებული მართვა უზრუნველყოფს ვალიდური და მიზნობრივი თვალსაზრისით მაღალი ღირებულების მქონე ინფორმაციის მოპოვების პროცესების ოპტიმიზებას, რამაც თვისებრივ მონაცემთა ანალიზის მეთოდებისა და ტექნიკების რევოლუციური გადასინჯვა შეიძლება გამოიწვიოს.

წყაროები:

1. NATASHA MACK. CYNTHIAWOODSONG. KATHLEEN M.MACQUEEN. GREG GUEST. EMILY NAMEY. Qualitative Research Methods: A DATA COLLECTOR'S FIELD GUIDE. USAID From The American People.
1. https://www.qsrinternational.com/nvivo/what-is-nvivo.
2. The SAGE Handbook of Qualitative Data Analysis. https://www.ewi-psy.fu-berlin.de/einrichtungen/arbeitsbereiche/qualitative_sozial-_bildungsforschung/Medien/58869_Flick__The_SAGE_HB_of_Qualitative_Data_Analysis_Chapter1_mapping-the-field.pdf.
3. A Step-By-Step Guide To Qualitative Data Analysis. file:///C:/Users/User/Downloads/Astepbystepguidetoqualitativeanalysis.pdf.
4. Sylwia Gwoździewicz. Jan Grzegorek. Dariusz Prokopowicz. Martin Dahl. APPLICATION OF DATA BASE SYSTEMS BIG DATA AND BUSINESS INTELLIGENCE SOFTWARE IN INTEGRATED RISK MANAGEMENT IN ORGANIZATION. https://www.researchgate.net/publication/330747700_APPLICATION_OF_DATA_BASE_SYSTEMS_BIG_DATA_AND_BUSINESS_INTELLIGENCE_SOFTWARE_IN_INTEGRATED_RISK_MANAGEMENT_IN_ORGANIZATION
5. Mohammed Kemal. APPLICATION OF DATA BASE SYSTEMS BIG DATA AND BUSINESS INTELLIGENCE SOFTWARE IN INTEGRATED RISK MANAGEMENT IN ORGANIZATION. https://www.researchgate.net/publication/330747700_APPLICATION_OF_DATA_BASE_SYSTEMS_BIG_DATA_AND_BUSINESS_INTELLIGENCE_SOFTWARE_IN_INTEGRATED_RISK_MANAGEMENT_IN_ORGANIZATION

ვლადიმერ ვოლოსი საზოგადოებრივი აზრის კვკევა „ციფრულ სამყაროში“

ლექცია ეხებოდა საზოგადოების აზრის კვლევას „ციფრულ სამყაროში“, კურსის ფოკუსირება მოხდა სოციალური კვლევის დაგეგმვის სირთულეებსა და გამოწვევებზე შერჩევის ეტაპზე ციფრულ და ტრადიციული ფორმატში. საუბარი იყო იმაზე, თუ რა მოთხოვნები არსებობს ციფრული ფორმატის შემთხვევაში კვლევის ინსტრუმენტის მიმართ, რეპონდენტთან თანამშრომლობის თავისებურებები, შეცდომები და გამოსწორების გზები, მონაცემთა ინტეგრაცია და ანალიზი. **ლექციის მასალები იხილეთ ვებგვერდზე:** politicalsummerschool.iliauni.edu.ge

პოლიტიკური ტექსტის ანალიზი – ლევან თარხნიშვილი

არსი და წყაროები:

- ნებისმიერი მეთოდის არსი შეტყობინებათა კონკრეტული თავისებურებების სისტემატური და ობიექტური ანალიზი და მის შედეგად დასკვნის გამოტანაა
- ადამიანების ქცევის პირდაპირი დაკვირვების ან მათთვის ამის შესახებ კითხვის დასმის ნაცვლად, მკვლევარი მოიპოვებს ადამიანთა კომუნიკაციის ასლებს და სვამს კითხვებს ამ ჩანაწერების შესახებ.
- მკვლევარებს შეუძლიათ განახორციელონ მონაცემთა სისტემატური ანალიზი, რომელთაც საარქივო ჩანაწერებიდან, დოკუმენტებიდან და მასმედიიდან იღებენ.
- წერილები, დღიურები, საგაზეთო სტატიები, შეხვედრები, ცოცხალი რეპორტაჟები, ფილმები, სატელევიზიო და რადიო შოუები შეიძლება გაანალიზებულ იქნას კონტენტ-ანალიზის საშუალებით.

ძირითადი კითხვები:

- ვინ და რას ამბობს?
- ვის მიმართავს?
- მიმართვის რა ფორმებს იყენებს?
- რა შედეგის მიღწევა უნდა ამ მიმართვით?

მიზანი:

- შეტყობინების თვისებების აღწერა.
- დასკვნის გამოტანა შეტყობინების გამგზავნის, შეტყობინების მიზეზებისა და წანამძღვრების შესახებ.
- დასკვნის გამოტანა შეტყობინების ეფექტების შესახებ შეტყობინების მიმღებზე.

ერთეულები:

- სიტყვები ან ტერმინები – უმცირესი ერთეულია, რომელიც კვლევაში გამოიყენება. როდესაც ჩაწერის ერთეული სიტყვაა, ანალიზი გვაძლევს ამ სიტყვების ან ტერმინების სიხშირეთა ჩამონათვალს.
- თემები – თემა სასარგებლო ჩაწერის ერთეულია, განსაკუთრებით პროპაგანდის, ატტიტუდების, იმიჯისა და ღირებულებების შესწავლისას. თავისი უმარტივესი გამოხატულებით, თემა მარტივი წინადადებაა, ანუ შედგება მხოლოდ ქვემდებარისა და შემასმენელისაგან.
- პერსონაჟები – მკვლევარი აღრიცხავს ტექსტში პიროვნებების და არა სიტყვების ან თემების რაოდენობას. რამოდენიმე ქვეკატეგორია – ავტორიტეტები, რომლებსაც იშველიებს და სხვა აქტორები, რომლებსაც მოიხსენიებს
- ჯგუფები – ადამიანების ჯგუფები, რომლებსაც მიმართავს და მათი დახასიათება
- საკითხები – მთლიანი ერთეული, რომელსაც შეტყობინების ავტორი იყენებს. საკითხი შეიძლება იყოს მთელი წიგნი, სტატია, საუბარი და ა.შ. მთლიანი საკითხის ანალიზი ადექვატურია მაშინ, როდესაც ვარიაციები საკითხში მცირე და ნაკლებმნიშვნელოვანია. მაგალითად, ახალი ამბები შეიძლება კლასიფიცირებული იქნას მათი შინაარსის მიხედვით: კრიმინალური ამბები, შრომის ამბები, სპორტის ამბები და სხვა.

კატეგორიები:

- ერთეულების შემდგომი კლასიფიცირება ხდება კატეგორიების მიხედვით
- კატეგორიები დაკავშირებული უნდა იყოს კვლევის მიზანთან, უნდა იყოს ამომწურავი და ორმხრივად ექსკლუზიური.
  - ამომწურაობა იძლევა გარანტიას, რომ კვლევის რელევანტური ჩაწერის ყოველი ერთეული კლასიფიცირებული იქნება
  - ორმხრივი ექსკლუზიურობა ნიშნავს იმას, რომ ჩაწერის არც ერთი ერთეული არ უნდა შედიოდეს ერთზე მეტ კატეგორიაში ერთი სისტემის ფარგლებში

– ძირითადი კატეგორიები
– „რა ითქვა“ კატეგორიები
– „როგორ ითქვა“ კატეგორიები

რა ითქვა:

- საგანი. რას ეხება კომუნიკაცია?
- მიმართულება. როგორ განიხილება საგანი (კეთილ-განწყობით თუ პირიქით)?
- ღირებულებები. რა ღირებულებები, მიზნები და სურვილები გამოვლინდა?
- მეთოდები. რა მეთოდები იქნა გამოყენებული მიზნის მისაღწევად?
- ეპითეტები. რა თავისებურებები იქნა გამოყენებული ადამიანების აღსაწერად?
- მოქმედი პირი. ვინ არის წარმოდგენილი, როგორც მოქმედი პირი?
- ავტორიტეტი. ვისი სახელით კეთდება განცხადებები?
- წყარო. საიდან დაიწყო კომუნიკაცია?
- ადგილმდებარეობა. სად ხდება მოქმედება?
- კონფლიქტი. რა არის კონფლიქტის წყაროები და დონეები?
- დასასრული. როგორ სრულდება კონფლიქტი: კარგად, ორაზროვნად თუ ტრაგიკულად?
- დრო. როდის ჰქონდა მოქმედებას ადგილი?

როგორ ითქვა:

- კომუნიკაციის ფორმა, ან ტიპი (ზეპირი, წერილობითი).
- რა არის მედიუმი კომუნიკაციაში (რადიო, გაზეთი, საუბარი, ტელევიზორი და ა.შ.)?
- განცხადების ტიპი. (მიმართვა, მონოლოგი, ინტერვიუ, ღია წერილი და ა.შ.)
- საშუალება. რომელი რიტორიკული ან პროპაგანდისტული მეთოდი იქნა გამოყენებული (თუ გამოყენებულია)?

დათვლა:

ანალიზი ხდება, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი

იმისათვის, რომ განახორციელონ აღრიცხვა, მკვლევარები იყენებენ ერთ-ერთს დანომვრის შემდეგი ოთხი სისტემიდან:

- დროით-სივრცითი სისტემა, რომელიც ემყარება მანძილის ან დროის ერთეულებს (მაგალითად, წუთები, რომელიც დაეთმო ახალ ამბებს რადიოში), რათა აღიწეროს შედარებითი აქცენტები სხვადასხვა კატეგორიებში გაანალიზებული მასალიდან.
- სიხშირის სისტემა, სადაც მოცემული თვისების ყოველი გამოჩენა აღირიცხება.
- გამოვლინების სისტემა ანუ რა ლოგიკით უბრუნდება ამა თუ იმ თემას ან პერსონაჟს (ყოველ აბზაცში, ყოველ გვერდზე, ყოველ ახალ თემაში და ა.შ.).
- ინტენსივობის სისტემა – ზოგადად გამოიყენება კვლევებში, რომლებიც ეხება ატტიტუდებსა და ღირებულებებს. ინტენსივობის აღნუსხვის მეთოდები ემყარება სკალების აგებას.

იოჰან თოლენი–მეტა–ეთნოგრაფიული მეთოდი

MYPLACE

Qualitative Data Analysis Handbook

ლექციის მსვლელობისას გაანალიზებული იყო მეტა-ეთ-ნოგრაფიული მეთოდი, როგორც მონაცემთა ანალიზის მეთოდი ტრანს-ნაციონალურ კლევით პროექტებში. მეტა-ეთნოგრაფი-ული მეთოდი ემსახურება თვისებრივი ემპირიული მონაცემე-ბის/მასალის სინთეზსა და აგრეგირებას. სესიაზე მოხდა ტრან-სეროვნული კვლევებისათვის მეტა -კოდების შექმნის პროცესის აღწერა, მონაცემთა ერთიან სისტემაში გადაყვანა შემდგომი დამუშავების და ანალიზის მიზნით. განხილული იქნა ანალიზის გამოყენების მრავალი პრაქტიკული ქეისი, მაგალიად 2 ფართო-მასშტაბიანი ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარებული პრო-ექტი – „MYPLACE“ (ევროკავშირის პროგრამის საგრანტო შე-თანხმება №. 266831), და „SAHWA“ (ევროკავშირის პროგრამის საგრანტო შეთანხმება №. 613174. **ლექციის მასალები იხილეთ ვებგვერდზე:** politicalsummerschool.iliauni.edu.ge



ემზარ ჯგერენაია–პოლიტიკური დისკურსის ანალიზი

Zoon politikon-შტრიხები ედუარდ შევარდნაძის პორტრეტისათვის

ედუარდ შევარდნაძემ პოლიტიკური კარიერა ჯერ კიდევ ღრმა საბჭოთა ეპოქაში დაიწყო და 2003 წელს ვარდების რევოლუციით დასრულდა. ჩვენ ის წარმოგვიდგება პრაგმატულ პოლიტიკოსად, რომლის მთავარი მიზანი პოლიტიკურ ძალაუფლებაში ყოფნა და მისი შენარჩუნება გახლდათ. საგანგებოდ გვინდა ხაზი გავუსვათ „პოლიტიკურ ძალაუფლებაში ყოფნის“ ცნებას. ე. შევარდნაძე განეკუთვნებოდა საბჭოთა ლიდერების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელთაც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ შეუძლებელია ძალაუფლების ფლობა, რომ ის ნივთი არ არის. ძალაუფლება პროცესის ნაწილია, ის მოძრაობს სოციალურ სტრუქტურებში, საზოგადოებრივ ურთიერთობებში და მთლიანად განმსჭვალავს მთელ საზოგადოებას ყველა დონეზე. ამიტომ ძალაუფლების შენარჩუნებას, „ძალაუფლებაში ყოფნას“, პოლიტიკოსის მხრიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაზე მუდმივი დაკვირვება სჭირდება.

ე. შევარდნაძე ძალაუფლებაში ყოფნისათვის ყველა შესაძლო მეთოდს მიმართავდა. მას შეეძლო მისთვის წამგებიანი პოლიტიკური სიტუაცია საკუთარი პოლიტიკური კარიერის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა. ამის ნიმუშია საბჭოთა საქართველოში 1978 წლის 14 აპრილს თბილისში გამართული, საბჭოთა კავშირში ლამის პირველი, დემონსტრაცია ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძემ ადვილად მოახერხა საბჭოთა კავშირში დაგროვილი პოლიტიკური კაპიტალის გადატანა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზოგადად, მისი პიროვნული ხასიათის მაჩვენებლად გამოდგება მისი ქცევა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტის დაკარგვის შემდეგ: ის საქართველოში დაბრუნდა და ხელისუფლების სათავეში მოექცა; მას უბრალოდ არ შეეძლო ძალაუფლების გარეშე ცხოვრება.

ე. შევარდნაძის მიერ საბჭოთა კავშირში დაგროვილი პოლიტიკური კაპიტალის წარმატებული გადატანა დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა: 1. ზვიად გამსახურდიას მთავრობის კრიზისი ნოყიერი ნიადაგი აღმოჩნდა შევარდნაძისათვის; 2. კომუნისტურმა საბჭოთა ინტელიგენციამ, რომელიც ზ. გამსახურდიას საფრთხედ აღიქვამდა, ე. შევარდნაძეში ძველი მოკავშირე დაინახა; 3. პოსტსაბჭოთა ქართველისათვის ე. შევარდნაძე სტალინის ერთგვარი „რეინკარნაცია“ იყო, სტალინი კი „დიდი ქართველის“ სტატუსით სარგებლობდა; 4. ე. შევარდნაძის პოლიტიკურ ქარიზმას მისი საერთაშორისო ავტორიტეტი კვებავდა.

ე. შევარდნაძე პოლიტიკიდან მშვიდობიანად წავიდა და ამით პოსტსაბჭოთა საქართველოში ხელისუფლების ცივილური გადაცემის ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი.

ემზარ ჯგერენაია–პოლიტიკური დისკურსის ანალიზი

საქართველო სამშობლოსა და სახელმწიფოს შორის

მოხსენებაში ვსაუბრობ სამშობლოს ცნების ტრანსფორმაციაზე ქართული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე და თანამედროვე საქართველოში მის დაპირისპირებაზე შედარებით ახალ „სახელმწიფოს“ კონცეფტთან.

ფეოდალურ საქართველოში სამეფოსა და მამულის გაგება სწორედ ისეთია, როგორიც არის ევროპაში. ქართველი ინტელექტუალები, რომლებიც მე-19 საუკუნეში ქართული კულტურის ევროპულ კულტურასთან სიახლოვეს ეძებენ, საგანგებოდ უსვამენ ხაზს ქართული ფეოდალიზმის ევროპულ ფეოდალიზმთან იდენტურობას. სამეფო ხელისუფლების ღვთითკურთხეულობის იდეა, პოლიტიკური სტრუქტურა და ბატონობის ფორმა ევროპული ფეოდალიზმის ანალოგიურია. ფეოდალები ფლობენ მამულს, მეფეც ერთ-ერთი მემამულეა. ჯერ კიდევ არ არსებობს სამშობლოს ის კონცეფტი, რომელსაც ერი-სახელმწიფო მოიტანს.

სამშობლოს თანამედროვე კონცეფტს მე-19 საუკუნეში „თერგდალეულების“ თაობა ქმნის. აქ სამშობლო წარმოდგენილია ერთიანი ისტორიული მეხსიერებით შეკავშირებული ხალხის ერთობად, რომელიც განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობს. სამშობლო საკრალური და წმინდა ცნებაა.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) წინა პლანზე წამოწევს სახელმწიფოს ცნებას, მაგრამ მისი ხანმოკლე არსებობა არ იძლევა სამშობლოსა და სახელმწიფოს ცნებების დაპირისპირებათა გამოკვეთის შესაძლებლობას.

საქართველოს პირველი რეპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მხრიდან ანექსიის შემდეგ ამ ორ ცნებას შორის საინტერესო მიმართება ყალიბდება. ოფიციალური იდეოლოგიის თანახმად, საბჭოთა ადამიანის სამშობლოც და სახელმწიფოც არის საბჭოთა კავშირი: “Мой адрес не дом и не улица,Мой адрес — Советский Союз!” (Композитор Давид Тухманов (1972) стихотворения Владимира Харитонова) – როგორც ამას წარმოგვიდგენდა ერთი საბჭოთა ჰიტი. მაგრამ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიან მოკავშირე რესპუბლიკები, რომელთაც თავიანთი ეროვნული კულტურა აქვთ. ეროვნულისა და საბჭოთას, ინტერნაციონალურისა და ნაციონალურის მორიგების ფორმულა სტალინმა შეიმუშავა: „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური“. თუმცა აღმოჩნდა, რომ საბჭოთა კავშირმა ამით ვერ გადაწყვიტა ნაციონალიზმის საკითხი. საბჭოთა საქართველოში ქართული ნაციონალიზმის იდეის მატარებლად გვევლინება საბჭოთა ინტელიგენცია, რომელიც მე-19 საუკუნიდან მომდინარე საკრალური სამშობლოს კონცეფტს საბჭოთა ინტერნაციონალს უპირისპირებს.

ჩემი აზრით, სწორედ ინტელიგენცია, რომელიც საქართველოში მე-19 საუკუნეში ფორმირდა და რომლის მიერ კონსტრუირებული საკრალური სამშობლოს კონცეფტი საბჭოთა ეპოქაში გადმოვიდა, დაუპირისპირდა ვარდების რევოლუციის შემდეგ სახელმწიფოს პროფანულ ცნებაზე ორიენტირებულ ხელისუფლებას და საბოლოო ჯამში დაამარცხა კიდეც.

დავით სიჭინავა–კომპანია ჩღღჩ–ჩეორგია–ს მიერ ჩატარებული პოლიტიკური კვლევების ანალიზი

სემინარის მსვლელობისას განიხილეს კომპანიის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში ჩატარებული პოლიტიკური კვლევის მონაცემები, პოლიტიკური კვლევების სირთულეები, გამოწვევები, უარების მაღალი ხარისხი და მასთან ბრძოლის მეთოდები. უარების გადანაწილების ძირითადი მეთოდოლოგიური ხერხები – ნედლი მასალის წარმოდგენა და მისი პროპორციულად გადანაწილება; მოხდა წარსულის გამოცდილების გააზრება (წინასაარჩევნო კვლევების და არჩევნების რეალური შედეგების ანალიზი) და უარების გადანაწილების პრაქტიკული ტენდენციების მაგალითები; დამატებითი კითხვების საშუალებით პოლიტიკური პარტიების ამომრჩევლის პორტრეტის შედგენა და მისი გზით უარების გადანაწილება. განხილული იქნა თითოეული მეთოდის გამოყენების პრაქტიკული მაგალითები. **ლექციის მასალები იხილეთ ვებგვერდზე: politicalsummerschool.iliauni.edu.ge**

ანა თარხნიშვილი–კომპანია BCG-Research–ის მიერ ჩატარებული პოლიტიკური კვლევების მიმოხილვა

სემინარის მსვლელობისას განიხილეს კომპანიის მიერ ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩატარებული პოლიტიკური კვლევის მონაცემები, პოლიტიკური კვლევების სირთულეები, გამოწვევები, უარების მაღალი ხარისხი და მასთან ბრძოლის მეთოდები. უარების გადანაწილების ძირითადი მეთოდოლოგიური ხერხები – ნედლი მასალის წარმოდგენა და მისი პროპორციულად გადანაწილება; წარსულის გამოცდილების გააზრება (წინასაარჩევნო კვლევების და არჩევნების რეალური შედეგების ანალიზი) და უარების გადანაწილების პრაქტიკული ტენდენციის დადგენა; დამატებითი კითხვების საშუალებით პოლიტიკური პარტიების ამომრჩევლის პორტრეტის შედგენა და მისი გზით უარების გადანაწილება. განხილული იქნა თითოეული მეთოდის გამოყენების პრაქტიკული მაგალითები. **ლექციის მასალები იხილეთ ვებგვერდზე: politicalsummerschool.iliauni.edu.ge**

სიმულირებული კვლევების ანალიზი

საზოფხულო სკოლის მეორე ნახევარი დაეთმო სიმულირებულ კვლევას. მონაწილეები დაიყვნენ ორ ჯგუფად და თვითოეულიმა მათგანმა პრაქტიკულად გაირა პოლიტიკური კვლევის ყველა ეტაპი, თემის შერჩევიდან შედეგების ანალიზსა და პრეზენტაციამდე. **სიმულირებული კვლევების პრეზენტაციები იხილეთ ვებგვერდზე: politicalsummerschool.iliauni.edu.ge**



სოციალური მეცნიერებებისათვის დამახასიათებელია მჭიდრო კავშირი თეორიასა და ემპირიულ მასალას შორის, ამიტომ სოციალური მეცნიერებების განვითარება, ასევე მასთან ერთად არსებული გამოყენებითი მომიჯნავე სფეროებიც, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული კვლევის, როგორც ინსტრუმენტის მეთოდების განვითარებასთან. სამწუხაროდ საქართველოში დღემდე პრობლემატურად რჩება თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი. ერთი მხრივ აკადემიური სტრუქტურები ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო არასაკმარისად არიან ფოკუსირებული ემპირიულ კვლევაზე, ხოლო კვლევითი ორგანიზაციები კი კვლევის განხორციელებისას მთლიანად არიან ორიენტირებული შედეგებზე და დიდ დროს არ უთმობენ მეთოდოლოგიური სიახლეების აღწერას.

საზაფხულო სკოლა იყო ერთ-ერთი პირველი მცდელობა ამ პრობლემის მინიმიზაციის გზაზე. სკოლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ, როგორც პრაქტიკოსი სოციოლოგები, ისე ამ დარგის აკადემიური სფეროს წარმომადგენლები. მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მსვლელობის დროს პრაქტიკულ მაგალითებზე (2003 წლიდან მოყოლებული დღებდე კომპანია **BCG-Research** და **CRRC-Georgia** მიერ ჩატარებული პოლიტიკური კვლევები) დაყრნობით განხილული იყო სფეროში არსებული მეთოდოლოგიური გამოწვევები და არსებული პრობლემების გადაჭრის გზები.

საზაფხულო სკოლის საქმიანობაში ჩართულები იყვნენ გერმანიის ბრემენის უნივერსიტეტის წარმომადგენელი ასევე სიდიდით მსოფლიოს სამეულში შემავალი კერძო კომპანიის წარმომადგენელი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ორივე უცხოელ ექსპერტს აქვს პროექტებში ჩართულობის გამოცდილება საქართველოში. იოჰან თოლენი 1994 წლიდან არის ჩართული სამუშაო ჯგუფებში და კონსულტირებას უწევდა საქართველოში განხორციელებულ არაერთ პროექტს. ვოდიმ ვოლოსი 2010 წლიდან თანამშრომლობს ქართულ კვლევით კომპანიებთან და კონსულტირებას უწევს პოლიტიკური კვლევის პროცესს. ასეთი გამოცდილებამ უნიკალურ საშუალებას მოგვცა გავაცნო საზაფხულო სკოლის დამსწრეებსთვის საქართველოს გამოცდილება საერთაშორისო ხედვისა და პრაქტიკის კონტექსტში.

საქართველოში არსებული პოლიტიკური კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ე.წ. ნაკლული მონაცემების გადანაწილება. განსაკუთრებით ეს ეხება პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების წინასაარჩევნო რეიტინგებს და არჩევნების დღეს საარჩევნო უბნიდან გამოსული ამორჩევლის კვლევას (**Exit Poll**). ცნობილია, რომ ვის აძლევ/მიეცი ხმას საშუალოდ გამოკითხულთა 20-30% უარს ამბობს პასუხზე და მკვლევარების წინაშე დგება პრობლემა თუ როგორ გადანაწილდეს ეს უარები. სკოლის მუშაობის პერიოდში ამეიკელმა ლექტორმა ვლადიმერ ვოლოსმა (კომპანია **IPSOS**), დავით სიჭნავამ (**CRRC-Georgia**) და ანა თარხნიშვილმა (**BCG-Research**) წარმოადგინეს ამ მონაცემების გადანაწილების რამოდენიმე ალტერნატიული ვერსია.

გერმანელმა ლექტორმა იოჰან თოლერმა, ნინო დურგლიშვილმა, დავით სიჭნავამ, ივანე კეჭაყმაძემ და ვლადიმერ ვოლოსმა ისაუბრეს და პრაქტიკულად აჩვენეს თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების გამოყენების მაგალითები რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევებში.

საზაფხულო სკოლის ერთ-ერთი მიზანსა და ამოცანას პოლიტიკური კვლებით დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის გავრცელება და მიტანა წარმოდგენდა. სკოლის სასწავლო და სიმულაციური კვლევის მასალები გამოქვეყნდა ბროშიროს სახით და აიტვირთა ილიას უნივერსიტეტის ვებ საიტზე. ბროშურები დაეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს.

აღსანიშნავია, რომ ეს არ იქნება ერთჯერადი აქტივობა. უნივერსიტეტის ლაბორატორიის ბაზაზე მომავალშიც გაიმართება მსგავსი ღონისძიებები და ლაბორატორია იქნება ის ღია პლატფორმა, რომელზეც სფეროს აკადემიურ წარმომადგენლებს და

პრაქტიკოსებს ექნებათ საშუალება ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია, ცოდნა, გამოცდილება და აწარმოონ მეთოდოლოგიური დისკუსია.

სრულად საზაფხულო სკოლის მასალები იხილეთ ვებგვერდზე: politicalsummerschool.iliauni.edu.ge